ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2442416

ნომერი: AR1378635

თარიღი : 15.02.2016

გაცემის თარიღი : 19.02.2016

გაცნობის თარიღი : 22.02.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 24 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ რობაქიძე პ/ნ 01005018491
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 171/7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია აივნის ამოშენება-შემინვა რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც გსურთ დამატებით სათავსოს მოწყობის მიზნით საზაფხულო ფართის ანუ აივნის სივრცის ნაწილობრივ ამოშენება და მასში ფანჯრის ღიობის მოსაწყობად სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება.

საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ რომ ვინაიდან საპროექტო ობიექტი ახლად აშენებული შენობაა და 2014 წლის 3 დეკემბერს საქართველოს მთავრობის #655 დადგენილების თანახმად შეტანილი იქნა ცვლილება 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში «მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ» მუხლი 65–მემუხლის მე-3 და 4 პუნქტებში. აქედან 3 პუნქტის გათვალისწინებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის საჭიროების თაობაზე. ზემოაღნიშნული უფლებამოსილების გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საკითხის I კლასის რეკონსტრუქციად განხილვა და თვლის, რომ არის ისეთი სახის ცვლილება რაც საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტის პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინასტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით –მისამართზე www.tas.ge ნომენკლატურის არჩევისას უნდა აირჩიოთ ახალი ნომენკლატურა – მშენებლობის ნებართვა–(თუ ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში საკითხი უნდა დააყენოთ რეკონსტრუქციის კუთხით, ხოლო თუ არ არის მიღებული, მოთხოვნა უნდა დააყენოთ ძირითადი პროექტის კორექტირების კუთხით) და სწორად შეავსოთ კლასის განსაზღვრის კალკულატორი (მიუთითეთ რეკონსტრუქციის ან კორექტირების შემდგომ მიღებული მთლიანი შენობის მონაცემები–იმისათვის, რომ საპროექტო ობიექტს მიენჭოს მისი პარამეტრების შესაბამისი კლასი).

ასევე დამატებით გაცნობებთ, რომ საჭიროა ჯერ ერთიანი ესკიზის საფუძველზე ,პროექტის ავტორთან შეთანხმების შემდგომ ან მის მიერ დამუშავებული ფოტომონტაჟის საფუძველზე დააყენთ მოთხოვნა ესკიზის წინასწარი შეთანხმების თაობაზე და დადებითი გადაწყვეტილების შემდგომ ათვირთოთ საპროექტო დოკუმენტაცია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა .

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.